

**თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს სხდომის**

ოქმი № 1

ქ. თელავი

21 მარტი 2022 წ.

თავმჯდომარეობდა : თენგიზი მთვარელიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნელი აბეჩხრიშვილი, მედეა ჩაფურიშვილი, ელენე ღარიბაშვილი, მალხაზ ყურბანოვი, გიგა მამუკელაშვილი, თამუნა დემურაშვილი და გელა აზიკური.

სხდომას ესწრებოდნენ: ნანა ათუაშვილი, თინათინ ხანჯალიაშვილი, ეთერი გურგენაშვილი, თამარ ხატიაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ნიკოლოზ ლაშხი და ოთარი ესიტაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს განახლებული შემადგენლობის დამტკიცება.
2. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმით განხორციელებული საქმიანობების განხილვა.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს განახლებული შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვს: საბჭოს მდივანმა **ნელი აბეჩხრიშვილმა**, სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი. მან სხდომის მონაწილეებს შეახსენა გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრუქტურისა და ფორმირების წესები (საბჭოს დებულება მუხლი N4), მან ასევე განმარტა საბჭოს უფლებოსილებები და აღნიშნა, რომ ვინაიდან დებულების მიხედვით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე არის საკრებულოს თავმჯდომარე, მას უხელმძღვანელებს საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**.

თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საბჭო, როგორც მუნიციპალიტეტის სათათბირო - საკონსულტაციო ორგანო მაქსიმალური პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მისაღწევად დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ელენე ღარიბაშვილმა** აღნიშნა რომ საბჭოს წევრებმა: მარეხ მაგალობლიშვილმა, ზურა აბუაშვილმა და მათა მარკოზაშვილმა დატოვეს საბჭოს შემადგენლობა პირადი განცხადების საფუძველზე. ხოლო ლელა მენთემაშვილს შეუწყდა საბჭოს წევრობა საბჭოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით 3-ჯერ არ დასწრების გამო.

ნელი აბეჩხრიშვილიმა აღნიშნა რომ საბჭოს განცხადებით მიმართეს წევრობაზე თინათინ ხანჯალიაშვილი, ნანა ათუაშვილი, ეკატერინე ონიკაძემ, თამარ ხატიაშვილი, ნიკოლოზ ლაშმა, ეთერი გურგენაშვილი და ოთარი ესიტაშვილი.

გადაწყვეტეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს უხელმძღვანელებს 2022 წლის მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე - თენგიზი მთვარელიშვილი.
გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში მიღებულ იქნა: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ნანა ათუაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, თამარ ხატიაშვილი, ნიკოლოზ ლაში, ეთერი გურგენაშვილი და ოთარ ესიტაშვილი.**

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ.

აზრი გამოთქვას: საბჭოს მდივანმა **ნელი აბეჩხრიშვილი** მიმოიხილა საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები, მან აღნიშნა რომ სამოქმედო გეგმით საბჭოს სამი ძირითადი საქმიანობა იყო განსაზღვრული:

- ✓ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შექმნა;
- ✓ თელავის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალურ პროგრამებში და პროექტებში ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინება;
- ✓ გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა.

მედია ჩაფურთხვილიმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი, თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხაზი გაუსვა, ეროვნული-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელშეწყობით შემუშავებულ რეკომენდაციებსა, საბიუჯეტო ინიციატივებსა და ჩატარებულ კვლევას მეწარმეობის მიმართულებით ქალთა მიდგომებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით. **მედია ჩაფურთხვილი**მა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლიდან უერთდება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმდინილ 16 დღიან კამპანიას.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი, მორიგ სხდომამდე ჩატარდე სამუშაო შეხვედრები, 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, რათა უახლოეს საკრებულოს სხდომაზე მოხდეს მისი დამტკიცება.

გადაწყვეტეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართოს 2022 წლის 20 აპრილს.

თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი